ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა

თარიღი: 3 სექტემბერი, 2019 წელი

დრო: 12:00 -14:00

შეხვედრის ადგილი: ლიბერალური აკადემია - თბილისის ოფისი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ნათია კუპრაშვილი - ჟურნალისტიკის რესურს ცენტრი
2. ლაშა ტუღუში - ევროპული ინიციატივა - ლიბერალური აკადემია თბილისი
3. მანანა დევიძე - ფონდი კავკასიის ეკოლოგია
4. ნანა ფიროსმანაშვილი - ფერმერთაუფლებების დაცვის ასოციაცია
5. ნუკრი ყველაშვილი - ახალგაზრდული ალტერნატივა
6. ნინო ხუხუა - საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება

განსახილველი საკითხები:

1. წესდების ცვლილებები და ეთიკის კოდექსის განხილვა
2. მეოთხე სამუშაო ჯგუფის წარომადგენლის ვიზიტი საქართველოში
3. სხვა საკითხები

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა გახსნა საბჭოს თავმჯდომარემ, ქალბატონმა ნათია კუპ[რაშვილმა. მან საკოორდინაციო საბჭოს წევრებს გააცნო შეხვედრის დღის წესრიგი და განსახილველი საკითხები.

პირველ საკითხად საბჭოს წევრებმა ისაუბრეს იმ ცვლილებებზე, რომლებიც განხორციელდა პლატფორმის წესდებაში და რომელთა კენჭისყრაც უნდა მოხდეს საერთო კრებაზე. წესდების დოკუმენტში ცვლილებების განხორციელების პროექტის მომზადება დაევალა ლიბერალური აკადემია თბილისის ოფისს, რომელაც სწორედ ამ შეხვედრაზე წარმოადგინა აღნიშნული პროექტი. პირველი ჯგუფის კოორდინატორმა და ორგანიზაციის დირექტორმა, ლაშა ტუთუშმა, საკოორდინაციო საბჭოს წევრებს დეტალურად განუმარტა წესდების ცვლილების პროექტში ასახული ყველა ცვლილება თუ დამატება, რომელიც მომზადდა. საკოორდინაციო საბჭომ იმსჯელა და დეტალურად განიხილა წესდების ცვლილების პროექტი, შეიტანა მასში მცირედი შესწორებები. შეტანილი ცვლილებები გაიგზავნება პლატფორმის საერთო ჯგუფში და თითოეულ წევრ ორგანიზაციას ექნება შესაძლებლობა წარმოედგინოს თავისი შეხედულებები და მოსაზრებები.

იმ ფაქტმა, რომ ფორუმმა შეიმუშავა ახალი ეთიკის კოდექსი, ეროვნული პლატფორმები ვალდებულნი იყვნენ, თავიანთი კოდექსი მოეყვანათ შესაბამისობაში აღნიშნულ დოკუმენტთან. შესაბამისა, კიდევ ერთი დოკუმენტი, რომელიც მომზადდა ლიბერალური აკადემია - თბილისის მიერ , არის ცვლილებების პროექტი ეთიკის კოდექსში., რომელიც ასევე განიხილა საკოორდინაციო საბჭომ და რომელიც წესდებასთან ერთად გადაიგზავნება საქართველოს ეროვნული პლატფორმის ყველა წევრ ორგანიზაციასთან, რათა წინასწარ გაეცნონ იმ დოკუმენტებს, რომლებიც უნდა დამტკიცდეს საერთო კრებაზე.

მმართველი კომიტეტის თავმჯდომარემ, საბჭოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, თბილისში, მეოთხე სამუშაო ჯგუფის საერთაშორისო კოორდინატორის ვიზიტის შსახებ. მნიშვნელოვანია რომ იგი გამოხატავს სურვილს, შეხვდეს საქართელოს ეროვნული პლატფორმის საკოორდინაციო საბჭოს წევრეს. საბჭომ განსაზღვრა შეხვედრის თარიღი.

შეხვედრის დასასრულს საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარემ, მადლობა გადაუხადა სამდივნო ორგანიზაციას დოკუმენტების მომზადებისთვის, ასევე საკოორდინაციო საბჭოს წევრებს აქტიური ჩართულობისა და თავიანთი მოსაზრებებისა და ხედვების დაფიქსირებისთვის.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: ქეთევან ჭურაძე